სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ N30 დადგენილების საფუძველზე წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის პერიოდის ანგარიშს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, ასევე კონტროლს უწევს მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებას (ინსპექტირების ჯგუფი).

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიის ზედამხედველობის სამსახურში 2024 წელს შემოსულია 984 კორესპონდენცია (განცხადება, წერილი, მომართვა, ბრძანება და სხვა).

საქართველოს კანონი ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტეტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს შესაბამისად ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილია 3 შემოწმების აქტი, რომლის საფუძველზეც დაჯარიმებულია 1 იურიდიული პირი (ჯარიმა 800 ლარი), და ორი მოქალაქე (ჯარიმა 1600 ლარი), ხოლო შედგენილია 1 მითითება, რის საფუძველზე დაჯარიმდა 1 მოქალაქე, საჯარიმო თანხამ შეადგინა 800 ლარი და მიღებულ ბრძანებაზე მიმდინარეობს ჯარიმის გადახდა განწილვადების წესით.

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს შესაბამისად სახელმწიფო მიწის დაკავების ფაქტზე შედგენილია 1 მოქალაქეზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (მიმდინარეობს აღსრულება).

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში შემოსულია 2400 ლარის ოდენობით თანხა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებას კონტროლს უწევს ზედამხედველობის სამსახური, რამოდენიმე ობიექტზე გამოვლინდა სამშენებლო (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა (გეგმა-გრაფიკის დარღვევა, ვადის გადაცილება) დარღვევის ფაქტები, რის შესაბამისადაც კომპანიებს დაეკისრათ საჯარიმო სანქციები.

2024 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში იქნა მიღებული მშენებლობადასრულებული 17 ობიექტი (საცხოვრებელი სახლები და სხვა).

პატივისცემით,

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

ედიკა ბერაია